ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 102
მაისის 17, პარასკევი, 1902 წ.
1877

# ივერია

№ 102
მაისის 17, პარასკევი, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

მაისის 6-დგან „ივერიის“ რედაქცია გადმოვიდა სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118, თ. გრ. ნ. დიასამიძის სტამბის გვედით. (10—1)

## პირველ მაისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“

ღირს შვიდ მანეთად და ხუთ შაურად (7 მ. 25 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**ხელის მოწერა მიიღება:**

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
**ქუთაისში:**—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
**ბათუმში:** მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).
**ბაქოში:**—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
**ხონში:**—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
**ზუგდიდში:**—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

## გაზეთი „ივერია“,

**რომლის გამომცემელია დღეს თ. ი. გ. ჭავჭავაძე,**

გადადის საკუთრებად „ივერიის“ ამხანაგობის ხელში.

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაჩნაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, დიმიტრი გრიგოლის-ძე, დოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა. (10—10)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.
**ა. ჰ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**სადამოობით:**

**ქ. ი. გძელიშვილი.** 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.
**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.
**ზ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.
**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
**ზ. ა. თარხანოვი.** 7—7½ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.
**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა 9—10 საათამდე, ხუთშაბათს და შაბათს გარდა.
**ე. გ. ფედოროვი**—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.
**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.
**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.
**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.
**ვ. დ. ლამბაშიძე**—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.
**ქ. მ. ელიოზიშვილი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.
**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.
**ა. გ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.
**სტ. ა. ვოინო**—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.
**გ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

**სადამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.
**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

**კვირაობით:**

**გ. გ. მაღალაშვილი**—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
**მაღალაშვილი**

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლებსი ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

## ქუთაისის ქალაქის გამგეობისაგან

**ქუთაისის ქალაქის გამგეობა** ამით აუწყებს ბ-ნთ ქალაქის ამომრჩეველთ, რომ ხმოსანთა არჩევნები ოთხის წლის ვადით 1902—1906 წ.წ. დანიშნულია ამა 1902 წლის ივნისის 9-ს. (3—6.—2)

**მაისის დამლევს დაიწყობა**

## არტისტიული მოგზაურობა

ტფილისის ქართულ დრამატიულ დასისა

**ვალერიან გუნიას გამგეობით**

მსახიობნი ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, გივიშვილი, ბ-ნნი: გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, იმედაშვილი, ივანიძე, ბეგლარიძე, ყალამბეგაშვილი და სხვანი. **დროებამოშვებით მოწვეული იქნება ვლ. ალექსი-მესხიშვილი**

დასი თითო ან ორ-ორ წარმოდგენას გამართავს შემდეგ ადგილებში: ქუთაისში, ხონში, ბათუმში, ფოთში, სოხუმში, ოზურგეთში, ახალ-სენაკში, სამტრედიაში, ყვირილაში, ჭიათურაში, დუშეთში, კავკავში, ბაქოში, ალექსანდრეპოლში, განჯაში და ყარსში.

ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწდომი იქნება, პიესები ახალი და მოწონებული საზოგადოების-მიერ წრეევანდელ სეზონში. პირველი წარმოდგენა დაიწყება ქუთაისიდან.

რეჟისორი და გამგებელი ვალ. გუნია.

## ტფილისი

✦ 7 მაისს ტფილისის გუბერნატორი შეეკითხა ქალაქის გამგეობას, რომელ თვეში და რომელ რიცხვშია დანიშნული ხმოსანთა არჩევანიო. ამ საქმის გამო ქალაქის გამგეობამ 14 მაისს გამოიკვლია შემდეგი: პირველად გამგეობას აზრად ჰქონდა არჩევნები დაენიშნა 26 მაისისათვის. საქალაქო დებულების ძალით უნდა ამომრჩეველთა სიები გამოცხადებულიყო სამის თვის წინად, ე. ი. არა უგვიანეს 26 თებერვლისა. საბოლოოდ შემუშავებული სიები უნდა გამოქვეყნებულიყო ერთის თვის წინედ, ე. ი. არა უგვიანეს 26 აპრილსა. სხვა და-სხვა მიზეზების გამო სიების შედგენა დაგვიანდა, ასე რომ 26 მაისს ვერას გზით ვერ მოხერხდება არჩევნები. თუ ეხლავე გამოვაქვეყნებთ საბოლოოდ შემუშავებულ სიებს, მაშინ არჩევნების დღე უნდა დაინიშნოს 15 ივნისისთვის. ივნისში დანიშვნა არჩევნებისა ყოვლად მოუხერხებელია, რადგანაც მცხოვრებთა მომეტებული ნაწილი საგარაკოდ გავა ქალაქიდამ. ამის გამო სასურველი იქნება, რომ არჩევნები შემოდგომისათვის გადაიდვას და დასრულებული სიები გამოქვეყნდეს არა უგვიანეს 31 ივლისისა, რადგანაც ამ რიცხვის შემდეგ იწყება მოკრება პირველ ნახევარ წლის (1902 წლის), დასაფასებელ გარდასახადისა და მაშინ გამოკლებულ უნდა იქმნენ ისინი, ვისაც დასაფასებელი გარდასახადი არ ექნება შეტანილი. სასურველია არჩევნები უსათუოდ ამ უკანასკნელ სიებით მოხდეს. ამ მოსაზრებისა და საქმის აწონ-დაწონის შემდეგ ქალაქის გამგეობამ 14 მაისს დაადგინა: ახალ ხმოსანთა არჩევნები დაინიშნოს 14 სექტემბრისათვის, შესწორებული სიები გამოქვეყნდეს არა უგვიანეს 30 მაისისა. თუ რაიმე შეცდომა იქნება სიებში, საჩივარი ამის გამო სახლის პატრონთ უნდა შეიტანონ არა უგვიანეს ორის კვირისა, ე. ი. 15 ივნისამდე; ხელმეორედ შესწორებული სიები გამოქვეყნდეს არა უგვიანეს 30 ივლისისა. ეს დადგენილება უნდა მოხსნდეს ტფილისის გუბერნატორის მოადგილეს.

✦ ცნობილი საქმე მკურნალ ვოინოს სახლში შარშან შემოდგომაზედ მომხდარის მკვლელობისა დანიშნულია განსახილველად 28 მაისს ოლქის სასამართლოს პირველ განყოფილებაში.

✦ გუშინ-წინ, 15 მაისს, როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული, აკურთხეს ქალაქის ხორცის დუქანი. კავკასიის მთავარ-მართებელმა, რომელიც კურთხევას დაესწრო, იყიდა ათის თუმნის ხორცი და გადასცა გამგეობას, რომ იგი ღარიბებს დაურიგდეს. გუშინ-წინ ქალაქის გამგეობამ დაადგინა: ერთი ნაწილი შემოწირულ ხორცისა გაიგზავნოს ღამის თავშესაფარში და ერთი ნაწილი დაურიგდეს ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ.

✦ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლეებს საზაფხულოდ დაითხოვენ: მოსამზადებელ კლასებს—20, ხოლო გიმნაზიურს—22 ამა მაისს.

✦ ტფილისში ჩამოვიდა გერმანელი პროფესორი მერცბახერი. მერცბახერმა ამ ორის წლის წინად გამოსცა წიგნი კავკასიის შესახებ. ვრცელი რეცენზია ამ წიგნის შესახებ შარშანა გვქონდა დაბეჭდილი. მერცბახერი საშუალო აზიაში მიდის თურმე ტიან-შანის გამოსაკვლევად. პროფესორი გუშინ უნდა წასულიყო ბაქოში.

✦ დღეს, 17 მაისს, შეერთებული კრება ექმნება ქალაქის საბჭოსა და კომისიას ტფილისის სახელოსნო სასწავლებლისათვის ახალ წესდების შესამუშავებლად.

✦ 21 მაისს საქართველოს ექსარხოსი ბაქოში მიდის.

✦ 19 მაისს უნდა მომხდარიყო მეორე საარჩევნო ნაწილის ამომრჩეველთა კრება კანდიდატთა სიის შესამუშავებლად. ამ ნაწილში მოქმედებს ეგრედ წოდებული „ახალგაზდათა დასი“. ეხლა კრება 29 მაისისათვის გადაუდვიათ, რადგანაც ამ დასსა და „დვორცოვის ნომრების დასს“ მოლაპარაკება აქვთ კანდიდატთა საერთო სიის შესამუშავებლად.

✦ თ. კონსტანტინე მუხრან-ბატონი, რომელიც ამ ჟამად საზღვარ-გარეთ იმყოფება სამკურნალოდ, დაბრუნდება ტფილისში მხოლოდ აგვისტოს გასულს.

✦ ხვალ, 18 მაისს, აკურთხებენ წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის საავადმყოფოს ახალს შენობას.

✦ გუშინ-წინ, 15 მაისს, გათავდა სწავლა ტფილისის საკომერციო სასწავლებელში.

✦ ზოგიერთ ხმოსანს მოხსენება შეუტანია ქალაქის საბჭოში იმის შესახებ, რომ საბჭომ შუამდგომლობა ჰძრას მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე და სთხოვოს, რომ მუშტაიდის ერთი ნაწილი ქალაქს გადაეცეს, რათა იგი ქალაქმა რიგიანად მოაწყოს ხალხის სასეირნოდ.

✦ გუშინ, 16 ამა მაისს, ტფილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიის მერვე კლასის შეგირდებს ჰქონდათ რუსულ წერიდან გამოცდა. საეგზამენო თემად პედაგოგიურ რჩევას დაუნიშნავს: „Черты средневѣковаго рыцарства по балладамъ Жуковскаго“.

## საქართველოს ამბები

როგორც შევიტყეთ, გორის მაზრის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის (სინდიკატის) საქმეები ისე გამოკეთებულა, რომ ამხანაგობას პირველ მაისისათვის წმინდა მოგება 600 მანეთი დარჩენია. გამგეობას სურს წრეულსვე საინტენდანტო უწყებასთან დაიჭიროს საქმე და აიღოს იჯარით საინტენდანტოსათვის საჭირო ხორბლეულობის ჩაბარების საქმე. სინდიკატი ადვილად შესძლებს ას საქმის განხორციელებას, რადგანაც გორის მაზრის მემამულეებმა უკვე შეჰკრეს პირობა, თუ არ სინდიკატს, სხვას არავის მიჰყიდონ ხოლმე ხორბლეულობა.

—

**სოფ. ჟუმისთავი** (ქუთ. მაზრა). აგერ მესამე თვეა, რაც ამ სოფელში სამრევლო სკოლა დაარსდა, რომლის მასწავლებლად მოწვეულ იქმნა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში კურს-დამთავრებული გერასიმე ხაჟომია. სოფლელებს დიდი სიყვარული და ნდობა გამოუჩენიათ სკოლისადმი. სასწავლებლის გახსნისათანავე სკოლაში მიუბარებიათ 46 მოწაფე, მათ შორის ხუთი ქალი, რომელნიც ბეჯითად შესდგომიან სწავლის საქმეს და თითქმის არც ერთ გაკვეთილს არ აკლდებიან. სკოლის უფრო კეთილად წარსამართავად საჭიროა სოფლელების შეგნებულ პირთა და მათ შორის ადგილობრივ მღვდლის, მამა მათე ხელიძის, კიდევ უფრო მეტი თანაგრძნობა და დახმარება.

—

**ს. დიმი** (ქუთაისის მაზრა). 12 ამა მაისს დიმის საზოგადოების სამმა სოფელმა: ზედა-დიმმა, ქვედა-დიმმა და ნერგეეთმა ბაღდათის ორკლასიან სასწავლებლის ზედამხედველ ბ-ნ მემარნიშვილის თაოსნობით და ბაღდათის ბოქაულის ბ-ნ ვაშალომიძის თანადასწრებით დაადგინეს განაჩენი მათთვის ორ-კლასიან სასწავლებლის დაარსებისა.

№

—

**სვანეთი**. საზოგადოთ სვანეთი, როგორც მაღალი და მთიანი ადგილი, ჩვეული არის დიდ-თოვლიანსა და სასტიკ ზამთარს; მაგრამ წრევანდელმა წელმა ჩვეულებრივს გადააჭარბა: ოქტომბრის პირველ რიცხვებიდგან დედა-მიწა თოვლით დაიფარა და მას შემდეგ გამუდმებულმა თოვამ მიწაზედ თოვლის გორები ალმართა და გაზაფხულის კვლავ ხილვის იმედი ლამის იყო გაგვიქრო. მაგრამ დაუდგრომლობით და კვიმატობით ცნობილმა მარტმა წელს უკუ-აგდო თავისი უკუღმართობა და ზამთრისაგან გულ-დათუთქულ სვანეთს ნამდვილ მალამოდ მოეცხო: თავის თბილი და მზიან დღეებით ზამთარს დავთარი დაუბნია, თოვლი წყლად აქცია და ზამთრისაგან მიძინებული სვანები თვალების ფშვნეტით მინდორში გამორეკა სამუშაოდ,—გუთნის ხელის მოსაკიდებლად. მაგრამ დადგა აპრილი და წვიმა-თოვლით შიშის ზარი დასცა მკვიდრთ. ხვნა-თესვა სვანეთში საზოგადოთ აპრილის სამკვიდროს შეადგენს. წრეულს-კი, ვგონებ, მაისის დამლევამდისაც გასტანოს, რაიცა ძლიერ ეჭვებს იწვევს მოსავლის შესახებ.

ბუნებისაგან დასჯილი სვანეთი დასჯილია აგრეთვე უექიმობით და უგზოობით. ჩვენის გოდების პასუხად დაპირებისა და იმედების მეტი არა გვესმის-რა—მაგრამ, მოგეხსენებათ, „პეტრეს მოსვლამდე პავლეს ტყავი გააძრესო“ ბედკრულ სვანეთს სიკვდილი მუსრს ავლებს, სვანეთის სახელობაზე მონათლული ექიმი-კი ქუთაისის პაციენტებს თავს დასტრიალებს.

გასულ წელს სვანეთი შეძრწუნებული იყო ავაზაკებისაგან, რომელთა „საქმენი საგმიროni“ თავის დროზე ვაუწყე „ივერიის“ მკითხველთ. ამ ჟამად მათგან მარტო ერთი ბოგინობს, დანარჩენნი-კი განშორდნენ დარბევის ასპარეზს და განისვენებენ ქუთაისის საპყრობილეში.

სვანეთის მოუწყობელს და გაჭირვებულს ცხოვრებას, ვგონებ, სკოლის მასწავლებელნიც უფრთხიან. „ცნობის ფურცლის“ მე-1776 №-ში მოთავსებულია წერილი სვანეთიდგან, რომლის ავტორი, სხვათა შორის, ამბობს, რომ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლების მასწავლებელნი აღარ აპირებენ დაბრუნებას სვანეთშიო. ჩვენ არა გვჯერა ეგ სიტყვები, იმიტომ რომ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლების მასწავლებლები განათლებულნი პირნი არიან, რომელთაც კარგად გათვალისწინებული ჰქონდათ სვანეთის ცხოვრება და ბუნება, მაგრამ მაინც არ შეუშინდნენ დაბრკოლებას, რადგან გამსჭვალ-

[illegible]

**სოფ. მიქელ-გაბრიელი** (ოზურგ. მაზ.). [illegible]

**ს. მათხოჯი** (ქუთ. მაზრ.). [illegible]

არა-მკითხე პატრონისაგან მეორედ უყი-დია, მაგრამ საქვეყნოდ-კი არ აცხადებს ბოროტ-მოქმედს. ამ შემთხვევაში პირველად მამასახლისმა უნდა ამოიღოს ხმა, მაგრამ ჩვენი მამასახლისი ჯერ ხმას არ იღებს და რას უცდის, კი არ ვიცით. ამდენი გაჩუმებაც არ ვარგა. ნუთუ არ შეუძლიანთ ერთი თხოვნა მისცენ ბოქაულს, რათა მან საჭირო ღონისძიება მიიღოს? ქურდების პოვნას ხომ დიდი ჩხრეკა არ უნდა, ოღონდ-კი გამოაცხადონ დაზარალებულთ, ვისგანაც გამოისყიდეს დაკარგული საქონელი.

ამინდები აქეთ ამ ხანად კარგია; გაცხარებული თესვაა.

ვ. მალაქიაშვილი.

---

**შულავერი** (ბორჩალოს მაზრა). შულავერი ერთი შესანიშნავი ადგილთაგანია მთელს ბორჩალოს მაზრაში თვისის მდებარეობით და ჰავით. გაშენებულია მცირე ვაკე ადგილზედ, ყოველ მხრივ აქვს ხშირი ბაღები და ვენახები, საიდგანაც გაზაფხულ-ზაფხულობით ცივ ნიავს მოაქვს ყვავილ-მცენარეთა და სხვა-და-სხვა გვარ ხეხილების სურნელება. ოთხის ვერსის მანძილზედ გაჭიმულია შულავრის ზვარ-ვენახები. ღვინის თვისებების შესახებ ხომ მეტია ლაპარაკი. უკეთესი ღვინო იშვიათია მთელ ბორჩალოს მაზრაში. ნამეტნავად ქვემო მინდვრის ღვინო, რომელიც ყველგან ნაქებია. ამისთანა ბუნებით უხვად დაჯილდოვებულ ადგილ-მდებარეობაში მკვიდრთათვის ადვილია და ხელ-საყრელი ცხოვრება. თუმცა-კი შარშანდელმა ნაკლებმა მოსავალმა, რაიცა მიწის თაგვების ბრალი იყო, ხალხი საშინლად დაალონა, მაგრამ წრევანდელს მოსავალს-კი მშვენიერი პირი უჩანს და იმედიც არის, რომ წრეულს მაინც კმაყოფილნი დარჩებიან შულავრელები.

მიხეილ მშველიძე.

# კავკასია

**ბარის ოსეთი.** ორს ამ მაისს, ჯერ ისევ თვალ-ნათლივ, თუღანოების მიწაში მხვნელს მთის ოსებს დასტაცეს ცამეტი ცხენი. საბრალო ოსებმა, რა-კი იარაღი არა გააჩნდათ-რა (სწორედ ამ დღეს, მაზრის უფროსის ბრძანებით ჩამოიარა ბოქაულმა ყაზახებით და მინდორში მხვნელ ოსებს ყველას წაართვა თოფები, ვისაც-კი უნახეს), დაიწყეს ყვირილი: მდევარიო. მათდა იღბლად იქვე ახლო, სოფ. დურდურში, იყვნენ საეგზეკუციო ცხენოსანი ყაზახ-რუსები. რვა ცხენოსანი ყაზახი დაედევნა ცხენების მომტაცებელ ავაზაკებს. სულ ცოტა ხანში ყაზახები წამოეწივნენ ავაზაკებს და აქეთ-იქიდგან დაუშინეს ერთმანეთს ბერდანის თოფები. ყაზახების თოფის ტყვიამ გადმოაგდო ცხენიდგან ერთი ავაზაკი. მაშინ-კი ანებეს ცხენებს თავი, გაიტაცეს თავიანთი დაჭრილი ამხანაგი და გაჰკურცხლეს ავაზაკებმა...

ქართველი ოსებში.

---

გაზ. „მშაკ“-სა სწერენ ერევნიდგან, რომ აპრილის სიცივეებს ძრიელ გაუფუჭებია იქაური ვენახები. ზარალი ნახევარ მილიონამდეაო.

# რუსეთი

24 მაისს შესრულდება 40 წელიწადი დამსახურებულის პროფესორის და მეცნიერებათა აკადემიის წევრის ა. ს. ფამინცინის სამეცნიერო მოღვაწეობისა.

— ცალკე კომისიამ დაასკვნა, რომ საჭიროა დაკლებულ იქმნას ფასი რკინის გზებზედ თევზის გადატანისა დიდის სისწრაფით. რასაც ამაზე რკინის გზები დაჰკარგავენ, ის შეიძლება შეივსონ იმ თევზის გადაზიდვის ფასის მომატებით, რომელიც იგზავნება მცირე სისწრაფითაო.

— ახალი უფროსი ბეჭდვის საქმეთა მთავარ-სამმართველოსი ნ. ა. ზვერევი, რომელზედაც იქმნება ეხლა ბევრ-გვარად დამოკიდებული ბედი და უბედობა ჟურნალ-გაზეთებისა, დიდ-ხან მსახურებდა მოსკოვში, სადაც დაამთავრა კურსი უნივერსიტეტისა. იქვე მიიღო ხარისხი მაგისტრისა და მალე დანიშნულ იქმნა ენციკლოპედიის და უფლებათა ფილოსოფიის პროფესორად. იყო უნივერსიტეტის რექტორის თანაშემწედაც და მერე ცოტას ხანს რექტორადაც. ბოგოლეპოვის დროს მიწვეულ იქმნა საერო განათლების მინისტრის ამხანაგად, ხოლო მინისტრის სიკვდილის შემდეგ მცირე ხანს განაგებდა სწავლა-განათლების სამინისტროს. 1901 წელს ზვერევი დანიშნულ იქმნა სენატორად. თვისის მასწავლებლობის დროს იყო ფსიხოლოგიურ საზოგადოების მდივნადა და თავმჯდომარის ამხანაგად. იმის თხზულებათა შორის აღსანიშნავია: „დოსტოევსკის უკანასკნელი რომანები“, «რა არის ფილოსოფია?» და „გრაფი ლ. ნ. ტოლსტოი და მისი შემოქმედება».

# უცხოეთი

**ანტილიის კუნძულები.** როგორც დღევანდელ დეპეშიდგანა სჩანს, მარტინიკზედ ხელ-ახლა ამოუხეთქია ვულკანს. საშინელი ცეცხლი ამოვარდნილა თურმე. მცოდნე კაცები წინადაც სწერდნენ და ეხლაც ამბობენ, რომ მარტინიკზედ ფორტ-დე-ფრანსსა და სხვა ქალაქ-სოფლებს განსაცდელი მოელის, ამიტომ საჭიროა მთელი კუნძულიდგან მცხოვრებთა სხვა ადგილებში გადაყვანაო. მართლაცა და თუ არ იზრუნეს და მცხოვრებნი არ გახიზნეს, შეიძლება სხვა ქალაქებსაც ისეთი დღე დაადგეს, როგორიც სენ-პიერს დაადგა.

სენ-პიერში სხვებთან ერთად დაიღუპა დაგომეის მეფე ბეგანზინი, რომელიც 1894 წ. საფრანგეთის მთავრობამ იქ დაასახლა. ბეგანზინი დაგომეის ტახტზედ 1890 წელს ავიდა. ამ დროს საფრანგეთსა და დაგომეის შორის ომი იყო. 1890 წელსავე საშინლად დაამარცხა დაგომელები პოლკოვნიკმა დოდსმა. ბეგანზინმა დასწვა თავისი სატახტო ქალაქი აბომეი და გაიქცა. გაქცეულმა მეფემ მანიფესტი გამოსცა „ყველა ხალხის მიმართ“, რომელშიაც თხოულობდა ფრანგებისაგან დაცვას. ბოლოს ბეგანზინი დააპატიმრეს და მარტინიკის კუნძულზედ გაგზავნეს.

ვულკანებიდგან ამოვარდნილი ფერფლი მთელ ანტილიის კუნძულებს დაედო. როგორც გამოუანგარიშნიათ, დღეში 3,000 ფუთი ფერფლი ეფინება მიწას. იამაიკაში, მაგალითად, მინდორ-ველი ფერფლით შეიმოსა, თუმცა ეს კუნძული 1,100 ვერსის მანძილზედ მდებარეობს იმ ადგილიდგან, სადაც ვულკანია.

ცნობილ გეოლოგოსს და მინერალოგოსს პროფესორს სოლლის უთქვამს, რომ ვულკანების მოქმედება ეგრე მალე არ დამთავრდებაო. იმის სიტყვით, მალე ამოხეთქამენ ის ვულკანები, რომლებიც დღეს დომინიკისა, გვადელუპისა და ანტილიის სხვა კუნძულებზედ ჯერ-ჯერობით ჩამქრალია. შეიძლება ამერიკის ვულკანებმაც მისცენ ბანი და იქიდგანაც ამოვარდეს ცეცხლი და ნაცარ-ტუტა. პროფესორი თხოულობს, რომ კუნძულებიდგან უეჭველად ხალხი სხვაგან გადაიყვანონ. მეორე მეცნიერის გამოანგარიშებით მარტო ერთ ვულკანს სუფრიერს დღემდე 50,782,504,000,000 ტონნი (ტონნი 60 ფუთია) ფერფლი ამოუსროლია.

**ამერიკის შეერთებული შტატები.** როგორც ვუწყით, საფრანგეთის პრეზიდენტი ლუბე უკვე დაბრუნდა რუსეთიდგან. ეხლა პრეზიდენტი ამერიკაში აპირებს თურმე წასვლას. ვაშინგტონში ძეგლს უდგამენ როშამბოს, რომელიც ასის წლის წინად ლაფაიეტთან ერთად ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ებრძოდა ინგლისელებს. როგორც როშამბო, ისე ლაფაიეტი ფრანგები იყვნენ. შტატების მთავრობას პრეზიდენტი მიუწვევია ძეგლის კურთხევაზედ. საზღვაო სამინისტროს უკვე უბრძანებია ერთის ესკადრისათვის, დაჰხვდეს ლუბეს ვირგინიის კონცხთან. ეს ესკადრა ლუბეს ნიუ-იორკამდე მიაცილებს. აი, ამ მგზავრობის შესახებ რასა სწერს, სხვათა შორის, დიდად გავლენიანი ამერიკელი გაზეთი „New-York-Tribune“: „ლუბეს ამერიკაში მისვლა შესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ასის წლის წინად საფრანგეთის გენერლები როშამბო და ლაფაიეტი გამოეშურნენ ვაშინგტონის საშველად. იმათ გადაწყვეტილი ჰქონდათ: ან ბრძოლის ველზედ დახოცილიყვნენ, ან-და ინგლისის ყოფილ ახალშენისთვის თავისუფლება მიენიჭებინათ. ეს ორი გმირი ამერიკისთვის ისე იბრძოდა, როგორც საკუთარ სამშობლოსათვის. ისინი არ მოელოდნენ დაჩაგრულ ამერიკელთაგან არც საჩუქრებს და არც ძეგლებს მომავალში. იმათ მიერ განთავისუფლებული 3 მილიონი მოქალაქე 100 წლის შემდეგ 75 მილიონად გადაიქცა. დღეს ამ ამერიკას მთელი ქვეყანა წარბში შეჰყურებს და ევროპა იმასთან მეგობრობას დაეძებს. ამერიკას ხშირად უსაყვედურებენ ანგარებას, ფულის მოყვარეობას, მაგრამ ვინც ასე ჰფიქრობს, ის დიდად შემცდარია: სახელი როშამბოსი, რომელსაც მადლიერი რესპუბლიკა დღეს ძეგლს ადგამს, ყოველ მოქალაქის გულში იწვევს იმ კეთილშობილ და მაღალ გრძნობებს, რომელთა დროსაც კაცს ავიწყდება კერძო ინტერესები, ანგარიში და ნათესაური გრძნობანი. ამერიკის მილიარდერები და მილიონერები აღტაცებითა და წრფელის გულით მიეგებებიან ლუბეს დასწრებას საფრანგეთის ერთ უდიდეს მამულიშვილის ძეგლის კურთხევაზედ. ჩრდილოეთ-ამერიკის მრავალ-ტომიანი და მრავალ-ენიანი მცხოვრებნი გულით უერთდებიან ამ საქმეში საფრანგეთის მოქალაქეებს. ეს საუკეთესო თავმდები იქმნება მეგობრობისა. ამ გვარი მეგობრობა სჯობია იმას, რომელიც ანგარიშსა და ხელ-შეკრულებაზეა დამყარებული“.

**საფრანგეთი.** სამსახურიდგან გადადგომის თხოვნა ვალდეკ-რუსოს არჩევნების დამთავრების მეორე დღესვე წარუდგენია პრეზიდენტისათვის. რუსოს უთქვამს პრეზიდენტისთვის, გადავწყვიტე სამსახურიდგან გადადგომა, რადგანაც არჩევნებმა რესპუბლიკელთ უმრავლესობა მიანიჭა და რადგანაც დღევანდელ სამინისტროს, იმ აზრით შემდგარს, რომ რესპუბლიკა დაიცვას, საქმე აღარა აქვსო. ლუბეს ბევრი უთხოვნია რუსოსათვის დარჩენილიყო, მაგრამ პრემიერი დიდ უარზედ დამდგარა. ვალდეკ-რუსო დათანხმებულა მხოლოდ პრეზიდენტის რუსეთიდგან დაბრუნებამდე დარჩენას. ვალდეკ-რუსსო უფრო იმიტომ აპირებს სამსახურიდგან გადადგომას, რომ იმისი ამხანაგები, მინისტრები მილიერანი და ანდრე, აღარა დგებიან. სხვა მინისტრებიც წასვლას არიან მოსურნენი. ათი მინისტრიდგან, „Times“-ის სიტყვით, მხოლოდ ფინანსთა მინისტრი კაიო, გარეშე საქმეთა—დელკასსე და საქმეთა განათლებისა—ლეიგი რჩებიან. ფრანგულ გაზეთებში ბევრსა სწერენ იმის შესახებ, თუ ვინ იქმნება ვალდეკ-რუსოს მოადგილე. უმთავრესად ორ კაცს ასახელებენ—ლეონ ბურჟუასა და ინდო-ჩინეთის გენერალ-გუბერნატორად ყოფილს. ამბობენ, ინდო-ჩინეთის გენერალ-გუბერნატორად მილიერანსა ჰნიშნავენო.

**სამხრეთ-აფრიკის ომი.** არ იქმნა, არაფერი ეშველა ზავის დადებას. მოლაპარაკება კარგა ხანია დაიწყეს, მაგრამ იმის შედეგი ვერ გაგვიგია. ბერლინსა და ინგლისში დარწმუნებულნი არიან თურმე, რომ ზავი მალე იქმნება დადებული. ამ რწმენას როიზერის სიტყვებზედ ამყარებენ. როიზერის მეფესა, ბალფურსა და რობერტსთან ლაპარაკის შემდეგ უთქვამს, რომ ზავი მალე იქმნება დადებულიო. რაც შეეხება ბურთა წინამძღოლების მოლაპარაკებას, ნამდვილს ამის შესახებ გაზეთები ვერაფერს გადმოგვცემენ. ამბობენ, ბურთა წინამძღოლნი ორ ბანაკად გაიყვნენო: ერთნი დამორჩილებას არიან მოსურნენი, მეორენი ომის განგრძობას. „Daily Mail“-ი სწერს: „ქრისტიანე დევეტი ვერ არის კარგს განწყობილებაში დელარეისა და შტეინთან. ეს ორი უკანასკნელია ყველაზედ მეტად ზავის წინააღმდეგი. ისინი სრულს დამოუკიდებლობას თხოულობენ. ამბობენ, იმათის აზრისაა ბურთა ბევრი სხვა წინამძღოლიო“. „რეიტერის სააგენტოს“ სიტყვით, კიდევ უმთავრესად ზავის დადების წინააღმდეგნი შტეინი და ვესსელსი არიანო. იმათ მხარს უჭერენ შემდეგი წინამძღოლნი: მიულლერი, ცელლიერსი და გერცოგი. დევეტი, რომელიც წინად წინააღმდეგი იყო შერიგებისა, ეხლა სხვებზედ მეტადაა მოწადინებული ზავს. სააგენტოს სიტყვით, ტრანსვაალელი ბურები მომხრენი არიან ზავისა, ამასთან დამოუკიდებლობას უსათუოდ არა თხოულობენ. ორანჟელ ბურებს-კი არაფრის გულისათვის არ უნდათ ზავის დადება, თუ ინგლისი დამოუკიდებლობას არ დაჰპირდება.

**კუბის რესპუბლიკა.** მრავალ-ტანჯული კუბა, როგორც იქმნა, თავისუფლებას ეღირსა. ამისათვის იგი შეერთებულ შტატებს უნდა უმადლოდეს. რამდენიმე საუკუნე კუნძულის მცხოვრებთ ესპანიასთან ბრძოლაში გაატარეს. ამ ტანჯვისაგან კუნძული შტატების რესპუბლიკამ დაიხსნა, ხოლო ეხლა თავისუფლებაც მიანიჭა. კუნძული შტატების უზენაეს მფარველობის ქვეშ იმყოფება, მხოლოდ შინაურ საქმეებში იგი სრულიად დამოუკიდებელია. აქვს საკუთარი პარლამენტი. პირველ პრეზიდენტად კუბელებმა პალმა აარჩიეს. ამას წინად პრეზიდენტს სიტყვა წარმოუთქვამს. „პირველი საზრუნავი ახალის მთავრობისა,—უთქვამს პალმას—ეკონომია და ყაირათია. შემდეგ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სწავლა-განათლებას: კუნძულზედ ყველგან სკოლები უნდა იქმნას დაარსებული. სოფლის მეურნეობაც მთავრობის ერთ უმთავრეს საზრუნავს უნდა შეადგენდესო.“

ახალ რესპუბლიკას არა ჰყავს სამხედრო და საზღვაო სამინისტრო, რადგანაც მას არც ჯარი ჰყავს და არც ფლოტი. საპოლიციო თანამდებობის შესასრულებლად რესპუბლიკას მხოლოდ მილიცია ეყოლება. რესპუბლიკას საკუთარი დროშა აქვს. ფულად კუბაში ჯერ ისევ ესპანურ ვერცხლისა და ამერიკულ ქაღალდის ფულსა ხმარობენ. კუბა შტატებს სავაჭრო ხელშეკრულობით შეეკვრება. ასე რომ ამ საქმეშიაც-კი შტატები ისე ექცევა კუბას,

---

# ფელეტონი

## ერეკლე მეფე და მისი წერილები *)

[illegible]

(№ 22) [illegible]

იახელით და თუ შენი წასვლა არ მოხდეს, ერთი შენი კაცი და მამასახლისი გაგზავნე, რამდონი კომლი არის დასწერონ და დავთარი შეინახე. როცა სხვას ოსებს ბეგარას გამოვართმევთ, იმ რიგათ, რაც მაგათი გამოსაღები ბეგარა იქნება, მაგათ ბეგარასაც მაშინ აგაღებინებთ. დაიწერა: მარიობის (ა) ქკს უკე. ჯავის ხეობის ოსებო, ოთარ ამილახორის სიტყვს მორჩილი იყავთ და რასაც ჩვენს სამსახურს გეტყოდესთ, გაუგონებდეთ. | თათრ. ბეჭედი. |

1736 მეფე ალექსანდრემ (ალი მირზა) ჯავის ხეობის ოსები უბოძა ბარამ მაჩაბელს, მაგრამ ოსებს ერთის ამილახორის შიში და ზარი იმორჩილებდა, მაჩაბელი რას გააწყობდა?

სეფი ხანის აზრი პირდაპირ სჩანდა ამ წერილში. კვიციც გახედნოს და ბებიაც ნახოს: ცდაში არის ოთარი წაჰკიდოს გივს ამილახორს, ამ დროს ყანდაარში მყოფს (იხ. ზევით № 7) და თავისი საქმეც მოიმარჯვოს.

ამავე წელს და ამავე თვეში (1737 წ. აგვისტოს 23) კახეთის დიდებულნი, ვაჩნაძეები, აი რა საქვეყნო საზრუნავ საქმეს შესდგომიან და რა მშვენიერ პირობასა სდებენ ერთმანეთში:

(№ 23) „ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა, ესე წიგნი მოგართჳთ ჩვენ ვაჩნაძემ ბებურისშვილებმა—მამრიზამა, ბებურ და თამაზ, გიორგიმ, ომან და რამაზ, გორჯასპიმ, აიდემურ, რევაზ—შვილებმა და მამავალთა სახლისა ჩვენისათა— თქვენ ვაჩნაძეს ასლანს, ქაიხოსროს შვილს, აფხაზის შვილს დავითს, აგათოშვილს ბეჟანს, აგათოშვილს რევაზს, შვილთა და მამავალთა სახლისა თქვენისათა. კარდანეხს ჩვენი სახლი ვამჯობინეთ საციხეთ (ციხის ასაშენებლათ), ჩვენც უაბული გქონით, დავდეთ საგვარეულოთ, არას ჩვენის სახლის კაცს საქმე არ ჰქონდეს საძეოთ და საგვარეულოთ ამიერთ უკუნისამდის. მღვთის თავდებობით არაფერი ლაპარაკი არა იყო რა. დაიწერა ესე წიგნი მარიამობისთჳს ოცდა სამს გასულს ქკს უკე. | ბეჭედი. | †

გასაოცარია, რომ მუხრან-ბატონი ვერ ურიგდება ქართლ-კახეთის მეფეს და, ჯერ ოსმალებს ერთგულობს (1724—1735 წ.), მერე სპარსეთს. ერთის მხრივ ამილახვარი მეზობლობდა, მეორე მხრივ ქსნის და არაგვის საერისთოები, მაგრამ ამათთანაც არა ჰქონდა მეგობრობა. მუხრან-ბატონის ოჯახმა ბევრი სახელოვანი ვაჟკაცი უძღვნა სამშობლოს, წინათაც და შემდეგაც, მაგრამ შემდეგი ორი ბარათი მაინც გვეუბნება—„ჩვენო ღვდელო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“, რაკი სეფი-ხანის ეშმაკურ მახეს ვერ წაუვიდა—შანშე ერისთავთან და ამილახვართან გადაკიდებას სამტროდ.

(№ 26) „ქ, მამებარა მე სეით უსეინას წრევანდელი მირისა, მუხრანბატონს ორმოცი თუმანი ეწერა, იმის ანგარიშში, ქავთარაძე დავითასაგან, სტეფანაშვილი ბერისაგან, გოგიაშვილი ტეტიასაგან—ხუთი თუმანი. იე თიბათვეს, ქკს უკე (1737 წ.) | თათრ. ბეჭედი. |“.

(№ 27) „ქ. ჩვენი ბრძანება არის, რაც მუხრანის ბატონისა, ან აზნაური ან გლეხი, კაცი და ციხეები მთასა თუ ბარს, შანშეს ძალათ ეჭირა ოსები, ისევ სუდ მუხრანბატონის ლევანისათჳს წყალობა გჳქნია და ამისათჳს გჳბოძები ხართ, ყველანი მოუდექით და მასა მსახურეთ და ამისის სიტყჳს მორჩილი იყავთ. დაიწერა მკათათჳს იბ, ქკს უკე (1737 წ.) | თათრ. ბეჭედი |

თეიმურაზ მეფე რომ ყანდაარიდგან მოვიდა კახეთში, დიდი არეულ-დარეულობა დაუხვდა შინ: მეგობარი, მოყვასი, მეზობელი, ნათელმირონი—ყველა ერთმანეთსა ჰლალატობდა, მტრობდა და ყველანი საერთოდ ძირს უთხრიდნენ ქვეყნის კეთილად წარმატებასა. საკუმარისი იყო მცირედი წყენა, რომ რომელიმე წარჩინებული ჰარ-ბელაქანში გაბძანებულიყო თავის მხლებლებით და იქიდგან ებელადნა ლეკებისათვის სამშობლო ქვეყნის ასაკლებად, ანუ ყეენის კარზედ წასულიყო, ვითარცა ორგული და მაბეზღარი მეფისა. ამიტომ თეიმურაზი, თავისი წინაპრებივით იძულებული იყო საფიცრის წიგნები მიეცა ყველა ზნე წამხდარ მოყმესათვის და მოღალატე ქვეყნისა როგორმე ქვეყნის ერთგულად გარდაექცია. აი ერთი ამისთანა საფიცრის წიგნი:

(№ 24). „ქ. ჩვენ, ღვთივ გჳრგჳნოსანმან მეფემან და ხელმწიფემან პატრონმან თეიმურაზ, პირმშომან და სასურველმან შვილმან ჩვენმან, ბატონმან ერეკლე, ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი საბოლოო მტკიცე და უცვალებელი წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ენდრონიკაშვილს დათუნას, ძმასა თქვენსა გორჯასპის, ადამს, შვილთა და მომავალთა სახლისათქვენისათა ასრე და ამა პირსა ზედან. ღმერთმან თუ ჩვენ კახეთის პატრონობა მოგვცეს, ვიყვნეთ თქვენთვის კარგნი და მოპატივენი, არც გაგწირათ და არც გაზიანოთ და გაუკითხავად არ შეგცოდოთ და არც რისაც მამულისა და სახელის მქონებელნი იყოთ და ყოფილიყოთ, არც იმისაგან დაგაკლოთ და თუ ვინმე თქვენი თავი შემოგვაბეზღოს, გაუკითხავად არ გაგიწყრეთ. ამისა გარეთ კიდევ რაც მამული ან ჩემს ბატონობაში გქონდეს და ან გეშოვნოს, არც ერთი მოგიშალოთ და არც დაგაკლოთ, თუ ბედნიერმა ყაენმა ჩემი მამული მიბოძოს, მე თქვენ არა მოგიშალოთ-რა“ 1)

---

1) ხაზ-გასმული თვით თეიმურაზის ხელით აქვს ჩაწერილი.

*) იხ. „ივერია“ № 92.

როგორც გარეშე და დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

**იტალია.** 3 მაისს ბარის მახლობლად მომხდარა უწესოებანი, სააგრარო ნიადაგზედ აღმოცენებული. როგორც „Times“-ის რომაელი კორესპონდენტი იუწყება, უწესოების დროს პუტინიანში დაჰრილა ცხრა ჯარის-კაცი და ორი მეამბოხე. დაუპატიმრებიათ ას კაცამდე; აქედგან 55 კაცი უმაღლესს სამართალში იქმნება მიცემული. წესიერება უკვე აღადგინეს, რადგანაც ანკონსა და ფოჯიადგან დიდ-ძალი ჯარი იქმნა გაგზავნილი.

**ინდოეთი.** ინდოეთში ინგლისის ჯარს შორის მცირე აჯანყება მომხდარა. აი რას გადმოგვცემენ გაზეთები: პოლიციას დაუპატიმრებია რაღაც მიზეზისა გამო ორი ჯარის-კაცი იმ რაზმისა, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთაგან შესდგება. დაპატიმრებულთა ამხანაგები თავს დასცემიან პოლიციის ნაწილს, აუკლიათ იქაურობა და ამხანაგები გაუნთავისუფლებიათ. ამით გამხნევებულს ჯარის-კაცებს ქალაქის ქუჩებზედ გაუვლიათ და ინგლისელებისათვის ცემა დაუწყიათ. სხვათა შორის, სიკვდილის პირამდე მიუყვანიათ კაპიტანი ოუენსი, რომელიც ველოსიპედიდგან გადმოუყვანიათ და ცემა დაუწყიათ. სასიკვდილოდ დაუჭრიათ პოლიციის უფროსი, რომელიც მეამბოხეთ დაპატიმრებას უპირებდა თურმე. წესიერება მხოლოდ საღამოზედ აღუდგენიათ, როდესაც სხვა ქალაქიდგან ინგლისელი ჯარის-კაცნი მიუყვანიათ. ასეთი ამბები სხვაგანაც ხშირია. ბენგალიაში ინდოელ ჯარის-კაცებს ერთი ინგლისელი პოლიციელი ცეცხლზედ დაუწვავთ. ამისათვის მთავრობამ 117 კაცი დააპატიმრა.

## ნარკვევი.

«ცნობის ფურცლის“ გუშინდელ მეთაურს: «სათავად-აზნაურო სკოლის საზოგადოების კრების გამო»-ს ჩართული აქვს სხოლიოდ ამნაირი შენიშვნა: „ივერიის“ ანგარიშში სრულებით არ არის ნახსენები საპენსიო კასის გამო შეკითხვა და ბ. ცხვედაძის პასუხი“.

ჩვენი გაზეთის მკითხველები დაგვეთანხმებიან, რომ მოხსენებულ საზოგადოების წლიურ კრების ანგარიში მეტად დაწვრილებით გვქონდა მოყვანილი და, თუ ანგარიშის შემდგენელმა „საპენსიო კასის“ შესახებ არა მოიხსენია-რა, უთუოდ განზრახ-კი არა, არამედ უფრო სხვა მიზეზების გამო, რაიცა „ცნობის ფურცლის“ რედაქციის წევრთ კარგად უნდა მოეხსენებოდეს. ყოველ შემთხვევაში „ცნობის ფურცლის“ რედაქციას, ვგონებ, არ ჰქონდა არავითარი უფლება პოლიკანტურად ეკიჟინა ჩვენის გაზეთისათვის, „ივერიამ“ ანგარიშში „საპენსიო კასის“ შესახებ არა მოიხსენია-რაო, როცა თვით პატივცემულ რედაქციას სრულიად არავითარი კრების ობექტიური ანგარიში არ მიუწოდებია თავის მკითხველისათვის. ეს-კი, თუ დაგვეთანხმებით, საჭირო იყო...

### „კვალის“ „მოსაუბრის“ კრიტიკული უძლურება

(იხ. „კვალი“ № 18 1902 წ.)

ბ-ნს „მოსაუბრეს“ ორი ჩემი წერილი *) გაურჩევია და ყველა ჩემი ნათქვამი „წინააღმდეგობათა და ნახტომთა ერთ ახირებულ კრებულად“ მოსჩვენებია. მკითხველი იფიქრებს, ალბად ძლიერი უნდა იყოს ლოღიკური ძალა ავტორისა, რომელიც ასე სასტიკად ჰკიცხავს ყველას და ყოველსავეს. სამწუხაროდ ჩვენდა,—დიაღ, სამწუხაროდ, რადგან ჩვენ არავის სიავე არ გვიამება,—ბ-ნ „მესაუბრის“ ლოღიკური ძალა არა-რაი არს. სამწუხაროა, როდესაც ასეთის ავტორის ნაწერების კითხვით ბევრი სტკბება, რადგან ეს გარემოება მკითხველის ლიტერატურულ მოთხოვნილების განუვითარებლობას და უგემურობას მოასწავებს. ასეთი დაბალის ლიტერატურულის გემოვნების მკითხველები რომ არ ყოფილიყვნენ ჩვენში, „მოსაუბრის“-თანა ლიტერატორი(!) თავის დღეში ისე გაბედვით ვერ ინავარდებდა სალიტერატურო ასპარეზზე. დღეს-კი იგი, სამწუხაროდ, ლიტერატურული ძალაა, რომელსაც იძულებული ვარ ანგარიში გავუწიო.

ბ-ნი „მოსაუბრე“ ამბობს: „მას (ე. ი. მე) შეუბრალებია ერთი მეტად გამოჩენილი მჩაგვრელი უდანაშაულო ადამიანთა... ტარიელ მკლავაძე“. მჩაგვრელი ახლანდელ დროში ყველაა: ყოველი უფრო ძლიერი სჩაგრავს მასზე უფრო სუსტს, მაგრამ, სამაგიეროდ, ყოველ კაცს სხვა, უფრო ძლიერი სჩაგრავს. თუ კაცი უფრო იჩაგრება, ვიდრე იგი სჩაგრავს, ასეთი კაცი შესაბრალისია. ტარიელ მკლავაძეც, როგორც ყოველი სხვა, იბრძვის არსებობისათვის ბრძოლაში, მაგრამ ერთობ სუსტი იარაღი აქვს, მკლავის ღონე, მაშინ როდესაც ბევრი სხვა ჯიბის ღონით არის შეიარაღებული. ამიტომ ტარიელ მკლავაძეს უფრო ჩაგრულთა შორის უჭირავს ადგილი, ვიდრე მჩაგვრელთა შორის, და ამიტომ შესაბრალისიც არის. ნუ-თუ, ბ-ნო „მოსაუბრე“, ეს საანბანო ჭეშმარიტება გაუგებარია თქვენთვის? მაშ გაჭირვებული კაცი შესაბრალისი არ არის?! ოჰ, შოთა, მართალი სთქვი, რომ „გული და გონება ერთმანეთზედან ჰკიდია“. სადაც ერთი არ არის, იქ არც მეორეა.

ბ-ნი „მოსაუბრე“ მიკიჟინებს, რომ „ერთობ გვიან მიკისრია თავად-აზნაურობის მფარველობა“. ამ ბუნდოვანის სიტყვებით ავტორს უნდა, ალბად, ფეოდალიზმის მომხრედ დამსახოს მკითხველ საზოგადოების წინაშე, მაგრამ ამის წინააღმდეგს თვით ეს ბუნდოვანება ამტკიცებს, რადგან, ცხადია, ასეთის დახავსებულის მიმართულებისა რომ ვყოფილიყავი, ცხადად გამოვსთქვამდი თავისს აზრს. დიაღ, სინათლეს გაურბის სიცრუე. მართლაც, ჩემს წერილში მე პირდაპირ ალვიარებ პრივილეგიების მავნებლობას და მხოლოდ იმას ვამტკიცებ, რომ, რადგან თავად-აზნაურობა მოწადინებულია, შვილები აღზარდოს, ხელი უნდა შევუწყოთ ამ კეთილ-შობილ მისწრაფებასა-მეთქი. რასაკვირველია, მე წინააღმდეგი არა ვარ, თანაბარი დახმარება აღმოვუჩინოთ სხვა წოდებათაც, რომელნიცკი შვილების აღზრდას ეტანებიან. მე აღვიარე მხოლოდ ის ფაქტი, რომ დღემდის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა რიცხვი უმეტესად ღარიბ თავად-აზნაურთა შვილები არიან, და დავარწმუნებ ბ-ნ „მოსაუბრეს“, რომ ჩვენის ხალხის სწავლა-განათლების საქმეს იმაზე ნაკლებ არ თანავუგრძნობ.

ბოლოს-კი ბ-ნმა „მოსაუბრემ“ ველარ მოითმინა და პირდაპირ ცილის-წამებას მიჰყო ხელი. „ბ. ვ. წერეთელი—ბრძანებს იგი—ქართველ თავად-აზნაურობას ურჩევს, რომ მან თავი დაანებოს მეურნეობას და... ლაქიობას მოკიდოს ხელი“. როდის განთავისუფლდება ნეტავ ჩვენი ლიტერატურა უაზრო და ცილის-მწამებელ მწერალთაგან?! მე ვამბობდი, რომ თავად-აზნაურობის ერთი ნაწილი, რომელსაც სხვა საქმე ვერ უშოვნია, ლაქიობას ჰკიდებს ხელსა-მეთქი. ნუ-თუ ეს სიტყვები და ის, რასაც ბ-ნი „მოსაუბრე“ მომაწერს, ერთი და იგივეა?!

აი, კიდევ ერთი ცილის-წამებაც: „ბ. ვ. წერეთელი ყოველიფერს მას (თავად-აზნაურობას) აწერს, ყოველივე მისი მეოხებით მოხდაო“. მე მხოლოდ იმას ვამბობდი, რომ, ჯერ-ჯერობით, რა-კი ინტელიგენცია თავად-აზნაურობიდგან გამოდის, ეს წოდება ბელადია ჩვენის ერისა-მეთქი. და ნუ-თუ, ბ. „მოსაუბრე“-მ ის საანბანო ჭეშმარიტებაც არ იცის, რომ ბელადობა არ ჰნიშნავს ყველაფერს? რაც უნდა დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს სარდალს, ჯარს კიდევ მეტი მნიშვნელობა აქვს. ამის გაგებას, ვგონებ, ბევრი თავის ტეხა არ უნდა.

ამ აზრს, რომ თავად-აზნაურობა ჯერ-ჯერობით ჩვენის ერის ბელადია, ვერაფრით ვერ ათავსებს ბ-ნი „მოსაუბრე“ იმ აზრთან, რომ „თუ ჩვენი სოფელი ჩამორჩენილია, მოწყვეტილია ქვეყნიერობას, ამისი მიზეზი უმთავრესად წიგნთ-საცავს უქონლობაა“. ამ ორ აზრს შორის იგი დიდ წინააღმდეგობას, „თვალ-საჩინო ნახტომს“ ჰხედავს. „გამოდის—ბრძანებს ავტორი—რომ ხალხის წინ-მსვლელობის, წარმატების მიზეზი წიგნთ-საცავი ყოფილა და არა თავად-აზნაურობაა.“ რა საცოდავი ანალიზია! ნუ-თუ ბევრი ფიქრი უნდოდა იმის გაგებას, რომ წიგნთ-საცავი ინტელიგენციის ნაყოფია, მისი სულიერი ძალაა? ყოველმა სოფელმაც რომ დაბალი სასწავლებელი და წიგნთ-საცავი დაიარსოს და ყოველი გლეხიც რომ წიგნის და გაზეთის მკითხველი შეიქნას, მაშინაც ბელადები ისინი იქმნებიან, ვისაც უმაღლესი სწავლა მიუღია—მკითხველმა არ იფიქროს, რომ უმაღლეს სწავლად დიპლომი მიმაჩნდეს—და იმავე დროს წიგნთ-საცავს არაფერი არ დაუშლის იყოს უმთავრეს კულტურულ ძალად.

„რაც შეეხება იმას, რომ წიგნთ-საცავი უფრო აკავშირებს ხალხს ქვეყნიერებასთან, ვიდრე გზები, ვაჭრობა და მრეწველობა, ეს წმინდა სისულელეა, ვინაიდგან, თუ არ არსებობს გზები, ვაჭრობა და მრეწველობა, საიდგან უნდა გაჩნდეს წიგნთ-საცავი“. აი „სიბრძნე ბ-ნის „მოსაუბრისა“. სჩანს, რომ, სანამ თითოეულს სოფელში რკინის გზას არ მივიყვანთ და ქარხნებსა და მაღაზიებს არ გამოვჭიმავთ, მანამდის შეუძლებელია სასოფლო წიგნთ-საცავთა დაარსება. მრეწველობა რომ ხელს უწყობს ხალხის განათლებას, ამას ვერავინ ვერ უარ-ჰყოფს, მაგრამ ის განათლება, რომელიც არის შედეგი უცხო ქვეყნების მრეწველობის განვითარებისა, ადვილად შეიძლება იქმნას გადმონერგილი ჩვენში. მთელი თანამედროვე მეცნიერება და საზოგადო მოძრაობა, ნაყოფი ევროპის მრეწველობისა და ვაჭრობისა, შეიძლება გავაცნოთ ჩვენს ხალხს, თუმცა ჯერ ჩვენში არც მრეწველობაა და არც ვაჭრობა ჯეროვანად განვითარებული. იდეა, აზრი უფრო ადვილად შემოდის, ვიდრე იზრდება მრეწველობა. თვით უკიდურესნი მიმდევარნი ეკონომიურის მატერიალისტობისა იმას გაიძახიან, რომ ვიდრე მრეწველობა იმ სიმაღლემდის ავიდოდეს ჩვენში, რა სიმაღლემდისაც ევროპაშია ასული, ხალხის გაცნობიერება უფრო ადრე მოხდებაო. მე, როცა მრეწველობას, ვაჭრობას და გზებს წიგნთ-საცავს ვუდარებდი, ჩვენი ქვეყანა მქონდა სახეში და არა ქვეყნიერება. დიაღ, ბ-ნო „მოსაუბრე“, ვიც განგებ თვალს არ აიხვევს, მისთვის ადვილად გასაგებია, რომ შესაძლებელია მეტის სისწრაფით მოჰხდეს ჩვენს სოფლებში სასწავლებლების და წიგნთ-საცავების დაარსება, ვიდრე ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, თუმც არ უარვჰყოფ, წინააღმდეგიც შესაძლებელია. მაშ, კეთილ-ინებეთ და თქვენგან გამონასროლი „სისულელე“ უკანვე დაიბრუნეთ.

შემდეგ ბ-ნი „მოსაუბრე“ მომაწერს ისეთს აზრს, რომელიც შეუძლებელია დამცდენოდეს ოდესმე, ე. ი., რომ ქართველები კულტურით აღემატებიან თათრებს და ამის მიზეზად ვითომც ჩვენი თავად-აზნაურობა დამსახოს. „აი ნამდვილი ახსნა თუ გნებავთ ეს არის“,—დასძენს ავტორი.—აი ქარის წისქვილებთან ბრძოლა, თუ გნებავთ, ეს არის,—ვიტყვი მე ჩემის მხრივ.

„ხსენებული კულტურული განსხვავება თათრებსა და ქართველებს შორის სიმდიდრითკი არ აიხსნება“, არამედ მით, რომ „თათრებში ჯერ წარმოებას კიდევ ნატურალური ფორმა აქვს, ჩვენში-კი ეს ხანა თითქმის გავლილია“, აი სიბრძნე ბ-ნ „მოსაუბრისა“. თუ ჰგონია ბ-ნ „მოსაუბრეს“, რომ ჩვენში უკეთესს გუთნებს ხმარობენ, ვიდრე ბაქოს გუბერნიაში, ძალიან შემცდარი ბრძანდება. თუ ჰგონია, რომ მრეწველობა ჩვენში უფროა განვითარებული, ვიდრე ბაქოს გუბერნიაში, კიდევ უფრო შემცდარი ბრძანდება. სხვა არა იყოს-რა, მარტო ნავთის წარმოება აიღოს! თუ ჰგონია, რომ ჩვენში უკეთესი გზებია, ვიდრე ხსენებულ გუბერნიაში, ამაშიც ხომ შემცდარია, რადგან ამ გუბერნიის მრავალ ადგილას თავისუფლად შეგიძლიანთ იაროთ ეტლით. თუ ის ჰგონია, რომ თათრები არ ვაჭრობენ, მაშ, სრულიად ვერ იცნობს თათრობას. თათარნი ჰყიდიან: ყურძენს, აბრეშუმს, მატყლს, ხალიჩებს, სხვილ-ფეხ საქონელს და სხვა. ისეთი ვენახები, ბაღები და თუთის პლანტაციები და იმდენი ოთხ-ფეხი საქონელი, რაც ამათ ქვეყანაშია, მე არსად მინახავს. ჩვენში, მაშ, რატომ ვერ შეითვისეს იმერლებივით მცირეოდნად მაინც ევროპიული კულტურა?! მიზეზი ამისი, ვფიქრობ, მათი სარწმუნოებაა, რომელიც აშორებს მათ განათლებულ ქრისტიანულ ერთა კულტურულ გავლენას. ათასი რომ ეძიოთ, სხვა მიზეზს ვერ იპოვით.

დასასრულ, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ძნელია ისეთ მოკამათესთან ბაასი, როგორიც არის ბ-ნი „მოსაუბრე“, რადგან სრულიად არ გახალისებს. ტრიალებ უბრალო, საანბანო, ყველასათვის ადვილად გასაგებ აზრებს შორის, ამტკიცებ, რომ ორჯერ ორი ოთხია, რომ დღე ნათელია და ღამე ბნელა, რაც თავის-თავადაც ცხადია; ამტკიცებ იმას, რაც კაი ხანია დამტკიცებულია და, რასაკვირველია, ვერავითარ გონებრივ სიამოვნებას ვერ განიცდი. როგორც მკითხველი ჰხედავს, ბ-ნს „მოსაუბრეს“ ვერ შეუგნია, ვერ მოუთავსებია თავის გონებაში საანბანო, უკვე ყველასაგან აღსარებული აზრები და მის მაგიერ, რომ თავის თავს დააბრალოს, მე მახვევს თავზე თავის კრიტიკულ უძლურებას. ჩემს ნაწერებში ყველგან ლოღიკური ნახტომები ელანდება, მაშინ როდესაც თვითონ არც არა ებადება-რა და არც არა დაუხტის-რა თავში. მე გულ-მავიწყს, ისეთ მწერალს მეძახის, რომელსაც თავისი თავი არ ახსოვს, მაშინ როდესაც, თამამად ვიტყვი, მას არასოდეს არა დავიწყებია-რა მხოლოდ იმიტომ, რომ არასოდეს არა უთქვამს-რა ისეთი, რაც გონებას ამოქმედებს და გულსა სწვდება.

და თუ ასეთია ბ-ნი „მოსაუბრე“, როგორიღა უნდა იყოს მისი თაყვანის-მცემელი ბრბო?!

ვასილ წერეთელი.

*) იხ. „ივერია“ № 59 1902 წ.

## სასამართლო

ეკატირინე მეძმარაშვილისა, კირილე დიდი ძისა და ალექსანდრე კუხიანიძის საქმე.

გუშინ, 15 მაისს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საინტერესო საქმე ეკატირინე მეძმარაშვილისა, კირილე დიდიძისა და ალექსანდრე კუხიანიძისა. საქმის გარემოება შემდეგია:

27 ივლისს, 1899 წელს, ქუთაისში დაიწვარა სახლი, რომელშიაც წილი ჰქონდათ: ონისიმე მეძმარაშვილს, მის ძმის ცოლს ეკატირინე მეძმარიაშვილისას და დიდიძეებს. საქმის გამორკვევის დროს აღმოჩნდა, რომ სახლი დაზღვეული ყოფილა ქუთაისის ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოებაში „Надежда“-ში რამდენსამე ათას მანეთად. პოლიციამ აღმოაჩინა აგრეთვე, როგორც საბრალდებლო ოქმშია მოხსენებული, რომ ეს სახლი ეკატირინე მეძმარაშვილმა და კირილე დიდიძემ ძალათი გადააწვევინეს ალექსანდრე კუხიანიძეს, რომ ძზღვევის ფული მიეღოთ. ამის გამო ეკატირინე მეძმარაშვილი, კირილე დიდიძე და ალექსანდრე კუხიანიძე სისხლის სამართალში იქმნენ მიცემულნი. ქუთაისის ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო ისინი და გადაუწყვიტა ეკატირინე მეძმარაშვილს და კირილე დიდიძეს ენისეის გუბერნიაში გადასახლება, ხოლო კუხიანიძეს ორის თვით სატუსაღოში დაპატიმრება.

—

„ნოვოე ობოზრენიეს“ატყობინებენ პეტერბურგიდან, რომ სენატში მაისის 10-ს გაირჩა საქმე ბორჩალოს მაზრის უფროსად ნამყოფის ბ-ნ არნოლდისა, რომელსაც ჰბრალდებოდა თანამდებობის აღსრულების დროს ჩადენილი სხვა-და-სხვა დანაშაულობა. სენატს ბ. არნოლდი გაუმართლებია. ტფილისის სამოსამართლო პალატამ, როგორც ვიცით, ბ-ნს არნოლდს გადაუწყვიტა სამის კვირით დატუსაღება სამხედრო ნაობახტში.

### მადლობის გამოცხადება

ნება გვიბოძეთ ულრმესი მადლობა გამოვუცხადოთ დაბა ლანჩხუთის მეორე გილდის ვაჭარს ბ-ნ ივანე ზაალის ძეს სვანიშვილს, რომელმაც შეაგროვა დ. ხიდისთავში უკვე დაწყებულ საზოგადო სახლის ასაშენებელ ფონდის მისამატად ოც და შვიდი მანეთი და ცხრა შაური და გადმოგვცა ჩვენ. დიდს მადლობის ვუცხადებთ ყველა იმათ, ვინც არ დაიზარეს თავიანთ წვლილის შემოწირვა ისეთის სასარგებლო საქმისათვის როგორიცაა უფასო სამკითხველო და მისთვის ასაგები სახლი. შემოსწირეს: ივანე სვანიშვილმა სამი მანეთი, სარდიონ ნაკაიძემ, ივანე ებრალიძემ, ტრიფონ მათითეშვილმა და ილარიონ მახარაძემ თითო მანეთი; სიო იმნაძემ, იოსებ იმნაძემ, პორფილე წერეთელმა, ესოფ ბარამიძემ, შამელ ჭყონიამ, მოსე ჭყონიამ, ალმასხან პატარაიამ, ნიკოლოზ ურუშაძემ, ნიკოლა იკიროპულომ, ივანე კვასხვაძემ, ყარამან კუკლაძემ, მილიტონ ქერქაძემ, კირილე მგელაძემ, ნიკო კილაძემ, ... ორგი ჭყონიამ, ლავრენტი ებრალიძემ, ნესტორ მელაძემ, მიხეილ სიხარულიძემ, დათინო სარჯველაძემ, ექვთიმე ბაგდავაძემ, ბესარიონ ურუშაძემ, მაქსიმელ ურუშაძემ, მიხეილ იმნაძემ, სილოვან გურგენაძემ, მუხამედ ჩემოლლიმ და ხუსეინ საფარ-ოღლიმ ათ-ათი შაური; აპალონ მურვანიძემ და ანტონ იმნაძემ ორ-ორი აბაზი; პლატონ ებრალიძემ, პართენ ჩხაიძემ, ლუკა ჩხაიძემ, მოსე ჩხაიძემ, იასონ ჩხაიძემ, პართენ ებრალიძემ, სილოვან პატარაიამ, სევასტი ჩხაიძემ, ესოფ ებრალიძემ, იასონ ებრალიძემ, ალმასხან კილაძემ, ლუკა ხელაძემ, კალისტო ლომინაძემ, ივანე კვიტაიშვილმა, პორფილე კუკულაძემ, იტიფო წილოსანმა, ლასიონ ღლონტმა, კალისტე ჩაჩავამ და ერისტო გოგიჩაიშვილმა ხუთ-ხუთი შაური; ქიშვარდი ორაგველიძემ ექვსი შაური; ნინო ებრალიძემ, სილიბისტრო ლორიამ და ბესარიონ წულაძემ თითო აბზი.

ხიდისთავის უფასო სამკითხველოს გამგე ანტონ რამიშვილი.

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ქ-ბნ მარიამ გრიგოლის ასულს გამრეკელისას, რომელმაც შემოსწირა ახალციხის სახალხო სამკითხველოს ორის წლის „Всемирная иллюстрація“, ერთის წლის „Живописное обозрѣніе“ და 62 ცალი სხვა-და-სხვა რუსული წიგნი და აგრეთვე ბ-ნს გიორგი ნიკოლოზის ძეს სალარიძეს, რომელმაც შემოსწირა: „მოამბე“ ხუთის წლისა—სულ 60 ცალი, „ჯეჯილი“ ოთხის წლისა—39 ცალი, „კრებული“ 21 ცალი, „კვალი“-ს ნომრები ხუთის წლისა, „მეურნე“ 1896 წლისა, 27 ცალი სხვა-და-სხვა ქართული წიგნი, 1896 და 1899 წლების „ნივის“ ნომრები და 103 ცალიც სხვა-და-სხვა რუსული წიგნი.

ახალციხის სახალხო სამკითხველოს მდივანი და ხაზინადარი ნ. ქიქოძისა.

## „ივერიის“ ფოსტა

**ს. ს—ს. თორნიკეს.** თქვენი მოწერილი ამბავი არ დაიბეჭდება.

**ს. ბ—ლს.** თქვენის წერილის აზრი ნათლად არ იყო გამოთქმული, ამიტომ თავის დროზედ ვერ დავბეჭდეთ. საზოგადო მოსაზრებანი და კერძო მაგალითი გარკვეული არ არის. ცხადად არ არის აგრეთვე გარკვეული, რა ბრალი ედება ბ-ნს ს—ცს.

**იამანიძეს.** თქვენს წერილს ვერ ვბეჭდავთ. ისეთის გაურჩეველის ხელით არის დაწერილი, რომ კაცი ვერას გაიგებს. აუარებელი ციფრებია შიგ მოთავსებული, მაგრამ აზრი ყველგან ნათლად არა სჩანს. რედაქცია დიდის თხოვნითა გთხოვთ ასეთი წერილები, რომელშიაც ციფრებიც არის, უფრო გარკვევით მოგვწეროთ ხოლმე შემდეგში.

**დ. ლანჩხუთს,** გრ. ურატაძეს. თქვენი მოწერილი ამბავი არ დაიბეჭდება.

ს. **ჭაპანა** (გურია), ლ. ჯ—ძეს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. მიჰმართეთ სათანადო მთავრობას და ის განიხილავს სოფლის მდგომარეობას.

## დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

15 მაისი.

**პეტერბურგი.** დღეს გაიყიდა 1.400,000 მანეთად შესანიშნავი „ვიაზემსკის ლავრა“.

**კიევი.** გუშინ საღამოს აფეთქება მოხდა საავეთიაქო საქონლის საწყობში.

**ხარკოვი.** ბელგრადის მაზრაში დიდს მანძილზედ მოვიდა სეტყვა, რომელმაც გაანადგურა ნათესები და დააბრკოლა მატარებლების მოძრაობა.

**ლონდონი.** «Temps»-ის ცნობით, რომელიც პრეტორიიდგან მიუღია, ბალმორალს ახლოს მთელს რაზმს ინდუსებისას იარაღი დაუყრია და 81 კაცი დაჭრილებია მტერს.

**პეშავერი.** ქაბულიდან იუწყებიან, რომ ემირმა ბრძანა ციხეში დაპატიმრება თვისის ძმისა მირზა-მაჰმედ-უმარხანისა, თვისის სასახლის გამგისა და მირზა-სედდიკ-ხანისა და განზრახვა აქვს თურქესტანის საზღვარზედ გაგზავნოს სახლობითა.

**ფორტ-დე-ფრანსი.** გუშინ ხელ-ახლა დაიწყო ფრქვევა ცეცხლის ამომფრქვევმა მთამ. ალი ერთის საათის განმავლობაში 150 მეტრის სიმაღლეს სწვდებოდა; პირი მთისა 300 მეტრამდეა გარდი-გარდმო; გრიგალი მხოლოდ მთის არე-მარეზედ გრგვინავდა, მაგრამ მაინც ძრიელ აწუხებდა მცხოვრთ.

**ბუდაპეშტი.** ავსტრიის დელეგაციამ განაგრძო განხილვა ბიუჯეტისა. კრამარჟი ამტკიცებდა არა ღირს ხელი შევუწყოთ სამთა კავშირსაო. უმეტესობა სახელმწიფოთა, რომელნიც ხელს უწყობდნენ გერმანიის იმპერიის შედგენას, ახლა ჰნანობსო. შემდეგში გერმანიის გადიდებას აღარც ერთი დიდი სახელმწიფო არ მოითმენს, აგრეთვე არც ავსტრია. გუკოვიჩმა სთქვა, რომ სასურველია უფრო მეტად დავუახლოვდეთ რუსეთსა, რომ ეგ დაახლოვება შეიქმნას საგნად მორიგებისა და ხელ-შეკრულობისაო.

**პეტერბურგი.** დღეს დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს-ძე მთავარ შტაბის უფროსის თანხლებით გაემგზავრა კრონშტადტის დიდს რეიდზედ. გენერალ-ადმირალს მიეგებნენ მეუფროსე მოხელენი. გენერალ ადმირალმა დაათვალიერა ახლად-აგებული კრეისერი «ასკოლდი“ და კრეისერი «ნავარინი“. დიდმა მთავარმა ინახულა გემები და დაბრუნდა უკან კრეისერით «სვეტლანა“.

ეს საფიცრის წიგნი გამოიწვია შემდეგმა თამარ დედოფლის წერილმა.

(№ 25). „ქ. ჩვენი ბრძანება არის სუღ ერთობღივ ვაზიეუღნო უფროსნო და უმცროსნო: მერმე აბელ მოურავი ოჯახით და ჩამომავლობით ერთგულნი და დიდათ გასჯილნი ყოფილან და ნამეტნავად ეს აბელ მოურავი. ჩვენ ამისთვის მოურაობა მიგვიცია და არც გამოგვირთმევია. ვინცავინ ჩვენი ერთგულნი ხართ და ან ჩვენი თავი გინდათ, ამ აბელ მოურავს შემოეხვიენით. მაგ გიოს ბებურიშვილისათვის არც მიგვიცია და არც თქვენში საქმე აქვს. მოურაობა ამისთვის მოგვიცია, მაგას მაგ ქვეყანაში ბედი არა აქვს. დაიწერა წიგნი ესე თვესა მარტსა გ̃ტ. ქ̃ს უკჳ. (1738 წ.)

ასულო ჩემო, დავით მარქვა, შენ იქავ ჩემი ამარი, ვახტანგ მეფისა ასული და დედოფ. თამარი

სეფ-ხანმა ანდრონიკაშვილებსა და ვაჩნაძეებს შორის შუღლი ჩამოაგდო და გივს უბოძა ქიზიყის მოურაობა. თამარმა იწყინა, რადგანაც იასე და სხ. ანდრონიკაშვილებს ძალა არ შესწევდათ სეფი-ხანის გავლენა მოესპოთ, მისცა და აბელ მოურავს უბოძა ისევ ქიზიყის მოურაობა. ამით გულ-ნატკენ ანდრონიკაშვილებს შემდეგ თეიმურაზმა მოუგო გული ჩემო წერილით № 24.

თეიმურაზ მეფე იმყოფებოდა კახეთში და აქედგან განაგებდა არაგვის ხეობას, შაჰნადირისაგან ნაწყალობევს. მოურავად ამ ხევისა თეიმურაზსა ჰყავნდა შაბურიშვილები, თან სულგანაბული ელოდა ბატონიშვილის ამბავს ინდოეთიდგან. თავად-აზნაურსა და გლეხს ყველგან საჩუქრებს ურიგებდა და იერთგულებდა, დიდის სიფრთხილით მოქმედებდა ყიზილბაშების გამო და მათს საწყენს საქმეს პირდაპირ ერიდებოდა. თავად-აზნაურთა შორის შფოთსა და დავიდარაბას შლიდა და ამშვიდებდა, რომ ერთმანეთის წაკიდებით დაუძლურებულნი გარეშე მტერს საყმოდ არ დაემორჩილებინა.

(№ 26). «ქ. ესე გარდაწყვეტის წიგნი მოგეცით ჩვენ ენისელთ მოურავმან დათუნამ თქვენ ანდრონიკაშვილს დავითს ასე, რომ ზიარელთ და ჩემს ბიძაშვილს მერაბს ცოტა რამ ჩხუბი გამორეოდათ და ბატონს თეიმურაზთან ვილაპარაკეთ და კაის გზით შეგვარიგა თქვენთან და ზიარელთან ხელი აღარა გვაქს-რა, აღარც მე და აღარც ჩემს სახლის კაცს. არის ამისი მოწმე მარტყოფის მოურავი ჩერქეზი ქაიხოსრო. მე ზაალ ბაზიერთხუციშვილს დამიწერია და მოწამეცა ვარ.

მღ. პ. კარბელაშვილი.

(შემდეგი იქნება)

16 მაისი.

**ოდესსა**. დაიწყო კრება რკინის გზის მკურნალებისა, 50 კაცამდე. განხილული იქნება 25-მდე სპეციალური მოხსენება. კრება ერთ კვირას გაგრძელდება. კრების წევრნი დაათვალიერებენ ლიმანს, სამკურნალო ადგილებსა და ადგილობრივს სამკურნალო დაწესებულებათ.

**რომი**. პალატა. პრინეტიმ განაცხადა რომ მთავრობას არა აქვს შეიძინოს ტერიტორია ჩინეთში, ხოლო ეკონომიური ინტერესების დასაცველად საჭიროა ჰქონდეს სამხედრო ხომალდები აღმოსავლეთ აზიის ზღვებში.

**პარიჟი**. სამინისტროც დილის კრებაზედ მთელი კაბინეტი მიემხრო ვალდეკ-რუსოს გადაწყვეტილებას სამსახურიდგან დათხოვებისას. სამინისტრო კაბინეტის სამსახურიდგან დათხოვნა გამოცხადებული იქმნება სამშაბათს, როცა პრეზიდენტი ლუბე პარიჟში დაბრუნდება. პრეზიდენტს განზრახვა აქვს შაბათს საღამოს წავიდეს მონტელიმარში.

**ბუდაპეშტი**. გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულ იქმნა ავსტრიის დელეგაციისაგან მას შემდეგ რაც გლუხოვსკიმ გააბათილა სამთა კავშირის წინააღმდეგ გამოთქმული აზრები.

**ბუხარა**. პრინცმა ჰენრიხ-რეისმა, დაათვალიერა რა ბუხარისა და კერმინეს საყურადღებო ადგილები და შენობანი, ბაირამალში წავიდა ხელმწიფის მამულის დასათვალიერებლად.

**განჯა**. განჯაში დაიწყო სამასწავლებლო კურსები. მონაწილეობას იღებს ქალაქისა და სოფლის 70 მასწავლებელი. კურსებსეს აზრადა აქვთ გააცნოს მეტოდიური ცნობანი მეაბრეშუმეობისა, მეფუთკრეობის და ბამბის მოვლა-მოყვანის პირველ-დაწყებით სწავლებისა. კურსები გასტანს 10 ივნისამდე.

**სოფია**. სერბიის ახალმა სადიპლომატო აგენტმა მარინკოვიჩმა წარადგინა თავისი ქაღალდები. სიტყვაში აგენტმა აღნიშნა მეფე ალექსანდრეს პატივისცემისა და მეგობრობის გრძნობანი მთავრისადმი. აგენტმა სთქვა, მეფემ მირჩია ყოველი ღონე ვიხმარო იმ სამეგობრო ურთიერთობის გასამტკიცებლად, რომელიც საჭიროა საერთო ინტერესებისათვისაო. მთავარმა მიუგო, არც ერთი შემთხვევა არ გამიშვია ისე, რომ სამაგიერო არ მიმეზღო მეფის გრძნობისათვის და არ გამემტკიცებინა სამეგობრო კავშირი სერბიასა და ბოლგარიის შორის.

**პეტერბურგი**. სიიმპერატორო კაცთ-მოყვარე საზოგადოების დაარსებიდგან ასის წლის შესრულების გამო «Прав. Вѣст.“-ში დაბეჭდილია უმაღლესი რესკრიპტი ამ საზოგადოების მთავარ მზრუნველს პეტერბურგის მიტროპოლიტის ანტონისა და საბჭოს წევრის ინფანტერიის გენერლის გედეონოვის სახელობაზედ. დაბეჭდილია აგრეთვე უმაღლესი რესკრიპტი საზოგადოებისადმი. გზათა სამინისტრომ მოიწონა პროექტი ახალის სადგურისა პეტერბურგში ფინლიანდიის რკინის გზისათვის. ეხლანდელს სადგურს სულ დააქცევენ.

**პეტერბურგის ბირჟა**, 10 მაისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 94,20 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . | 94,90 |
| ბერლინში ,, . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში ,, . . . . . . | 37,65 |
| ბირჟის დისკონტი . . . . . . | 4½—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . . | 96⅝ მყიდ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | 98⅞ |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . | 94¼ წვ. გაყ. |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. . . . . . | 471 გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . . . | 360 გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . . . | 287 გაყ. |
| 4½% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა . . . . . . . | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . . . | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . . . | 89⅝ გაყ. |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა. . . . . . . . | 85 ‘ |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | 10350 გაყ. |
| აქციები ,, . . . . . . | — |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. | — |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 440 წვ. გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. | 163 “ |
| ნავთის სამრეწვ. საზოგად. . . | — |

**ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი:**

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

| | მოდის ტფილ. | გადის ტფილ. |
|---|---|---|
| **ბ ა ქ ო.** | | |
| სწრაფი მატარებელი (პარასკეობით) . | 3 ს. 43 წ. დღ. | 11 ს. 49 წ. დილ. |
| ფოსტის „ (ყოვ.-დღე) | 4 ს. 54 წ. დღ. | 1 ს. 34 წ. დღ. |
| სამგზავ. „ „ | 8 ს. 37 წ. დილ. | 8 ს. 22 წ. საღ. |
| **ბ ა თ უ მ ი.** | | |
| სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე) . | 10 ს. 2 წ. დილ. | 7 ს. 43 წ. დილ. |
| ფოსტის „ „ | 12 ს. 32 წ. დღ. | 6 ს. 7 წ. საღ. |
| სამგზავ. „ „ | 7 ს. 37 წ. საღ. | 9 ს. 27 წ. დილ. |
| **ყარსი და ალექსან.** | | |
| ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე) . . . | 7 ს. 18 წ. დილ. | 9 ს. 28 წ. საღ. |
| ამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიიდგან). . . . | 4 ს. 35 წ. დღ. | 3 ს. 13 წ. დღ. |
| **ბ ო რ ჯ ო მ ი.** | | |
| სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე). | 6 ს. 57 წ. დილ. | 6 ს. 22 წ. დილ. |
| სამგზავრო „ „ | 9 ს. 53 წ. საღ. | 2 ს. 28 წ. დღ. |


# განცხადება

## ტფილისის სამარხმა კასამ

უკვე დაიწყო მოქმედება და ვისაც ჰსურს წევრად ჩაეწეროს, მიჰმართოს გამგეობის წევრსხაზინადარს შიო ქუჩუკაშვილს სათავად-აზნაურო ქარვასლაში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში. ერთ-ხნობითი შემოსატანი არის **სამი მანეთი** და **ხუთი შაური**, გარდაცვალებულის ოჯახს-კი მიეცემა შემწეობა **ხუთას მანეთამდის.**

დამფუძნებელ წევრთ, რომელთაც ჯერ არ შემოუტანიათ ხვედრი ფული, მაისის თვის გასულამდის უნდა შემოიტანონ, წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულ იქნებიან წევრობიდამ. (10—4)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

**ყოველის მხრიდან**

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლელისა ფასი 10 კ.

და

**მოთხრობანი**

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

**წერაკითხვის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:**

| | |
|---|---|
| საუმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილმა . | „ 30 |
| საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ. | 1 40 |
| Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ . . . . . | „ 60 |
| სალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა . . . | 1 მ. „ |
| მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა. . | „ 30 |
| ყოველის მხრიდგან. არბოლელისა. . | „ 10 |
| ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა . . . . . | „ 50 |
| ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი . | ,, 15 |
| ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა | ,, 15 |
| ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი . . | ,, 5 |
| ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა | ,, 30 |
| აბო ტფილელი, ე. კ. . . . | ,, 30 |
| Або Тифлисскій, Е. К. . . | ,, 5 |
| Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ . | ,, 60 |
| გიორგი და მიხეილი . . . . | ,, 10 |
| Древній Анчисхатскій соборъ. Карбеловъ . . . . | ,, 20 |
| ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა | ,, 40 |
| შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა | ,, 30 |
| ჩანგი, ვ. აბაშიძისა . . . . | 1 ,, |
| ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა. | |
| Царица Тамара, М. Джанашвили . . . . . | ,, 50 |
| ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა . | ,, 30 |
| ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა . . . . | 1 ,, |
| Характеристики и воспоминанія Г. Туманова . . . . | ,, 50 |
| დედა, ანდერსენისა . . . | ,, 8 |
| დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი . | 1 ,, მ. |
| დაუჯდომელი წმ. ნინოსი . . | ,, 20 |
| Двѣ святыны въ Кахетіи, Е. К. | ,, 10 |
| Давидъ Гареджели, Е. К. . | ,, 15 |
| ეტიუდები, ო. ხუსკივაძისა . . | ,, 15 |
| ელენე, მოთხრობა . . . . | ,, 5 |
| Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили | ,, 40 |
| Назрѣвшій вопросъ, Е. К. . | ,, 20 |
| ოცი წლის წინედ, გ. წერეთლისა . | ,, 5 |
| Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ . | ,, 3 |
| ამბავი მადლის ქვისა . . . . | ,, 5 |
| აკიდო საუმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ. | ,, 15 |
| ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი . . . . 1 მ. | ,, 50 |
| ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი . | ,, 40 |
| ბენია. . . . . . . | ,, 10 |
| ბუნების სიდარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა . . . . . | ,, 15 |
| ბაში-აჩუკი, აკაკისა. . . . | ,, 30 |
| ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა 1 მ. | ,, 30 |
| გლეხი-კაცის ისტორია, III--IV ტ. 1 მ. | ,, 20 |
| აღმზრდელი, აკაკისა . . . | ,, 5 |
| გასართობი . . . . . | ,, 10 |
| გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა . | ,, 15 |
| გუსტავ ვაზა . . . . | ,, 5 |
| პატარა ლორდის თავგადასავალი . | ,, 30 |
| პატრა ვეფხვის ტყაოსანი. . . | ,, 25 |
| რამას განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილისა | ,, 40 |
| სიტყვიერების თეორია, ევ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა . . . | 1 ,, |
| სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა. . | ,, 60 |
| აერო დღესასწაული . . . . | ,, 25 |
| Въ Барсовой кожѣ, Мкинвари | 1 р. ,, |
| ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლისა. . | 3 ,, |
| Заслуги Грузинскаго монашества, Е. К . . . | ,, 30 |
| თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი . | 1 მ. |
| თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა | ,, 40 |
| თამარ-დედოფლის სამკაული . . | ,, 10 |
| თამარ ლაზნელი, ან. ფურცელაძისა . | ,, 50 |
| ისტორია ქართულ სტამბებისა. . | ,, 15 |
| იანიჩარიდ., ნახუცრიშვილისა. . | ,, 40 |
| კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II არ. ქუთათელაძისა . | ,, 60 |
| სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი . . . . . | 1 ,, |
| სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ-სა . | ,, 30 |
| საუმაწვილო ამბები, ეკ. გაბაშვილისა. | ,, 50 |
| სუმბული, ს. ქავრიანისა. . . | ,, 20 |
| ტარტიუფი, თარგ. ივ. მაჩაბრიანისა | ,, 50 |
| უკვდავთა ლადადებანი, მ. ჯანაშვილისა | ,, 15 |
| მეცნიერებისთვის წამებულნი . . | 1 ,, |
| Мцхетъ и его Соборъ, А. Натроева . . . . . . | 1 50 |
| ნელო და პატრაში, თრ. ელ. წერეთლისა | ,, 10 |
| ნათელა, აკაკისა . . . . | ,, 20 |
| ნიკოლოზ ნიკოლაძე, ზ. ჭ—ისა . | ,, 20 |
| ნამდვილი სამსახური პოტაპენკოსი . | ,, 40 |
| Новая постановка педагогическаго дѣла . . . . | ,, 20 |
| სამი პოემა, ან. ფურცელაძისა. . | ,, 50 |
| სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა. | ,, 5 |
| საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა, ი. გოგებაშვილისა . | ,, 10 |
| სახუმარო გასართობი . . . | ,, 10 |
| ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელისა . . . | ,, 50 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა . . | ,, 20 |
| ქართული მწერლობა, მ. ჯანაშვილისა | ,, 40 |
| ქეთო და სონა, საუმაწვილო მოთხრობა | ,, 5 |
| ქართველების გათათრება, ზ. ჭ—ისა | ,, 25 |
| კოპერნიკიდან დარვინამდე . . | ,, 10 |
| კანდელი, მ. ლელაშვილისა . . | ,, 15 |
| Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К. | 1 р. 50 к. |
| Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели . . . . . | 30 ,, |
| კუბიკები ქართულის ანბანისა . | 1 მ. 20 |
| ლექსები განდეგილისა . . . | ,, 50 |
| ევდოშვილისა . . . . | ,, 50 |
| რ. აბაშიძისა . . . . . | ,, 60 |
| დ. გაბრუაშვილისა . . . . | ,, 25 |
| მელის წიგნი, კ. თაყაიშვილისა . | ,, 40 |
| მუშათა კითხვა . . . . | 15 ,, |
| მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. პ. უონჩოშვილისა . . . . | 1 ,, |
| მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა. . | ,, 40 |




**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი „ოდონბრინი“ მ. ვ. ლებედევისა**

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საატიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (33—6.—8)

**О грузинскомъ и русскомъ АЛФАВИТАХЪ,**

წერილი იაკობ გოგებაშვილისა, დაიბეჭდა ცალკე წიგნაკად და ისყიდება თბილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში და სხვაგანაც; ქუთაისში ბეჟანეიშვილთან. გაიგზავნა აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქებსა და დაბებშიც. ფასი ყველგან ერთი აბაზი. (3—3)

**ამხ. „ვერეიჩევი და კამენმახერი“**

ღირს-ქმნილი თვისის სტამბის საქმეთათვის ბათუმში 1901 წლის კავკასიის საიუბილეო გამოფენის **მედალისა**

და გაზეთ „Тифл. Лист.“-ის ფრიად სასიამოვნო მოწონებისა (№ 277, 1901 წ.) აუწყებს ყველას, რომ მიხეილისა და ნემცების ქუჩის კუთხეში, სლივიცკის სახლში გაჰმართა

**სტამბა და სახაზავი,**

რომელნიც მოწყობილია ტეხნიკის ყოველ მოთხოვნილებისა თანხმად და ამიტომ შეეძლება ყოველ-გვარი სასტამბო და სახაზავი სამუშაო შეასრულოს ყოველ ევროპიულსა და აქაურს ენაზედ

**☛ კოხტად, სწრაფად და იაფად ☚**

23 მარტიდგან სტამბის კანტორა ღიაა ყოველ-დღე. სტამბაზედ მოშორებით მცხოვრებნი მუშტარნი არ შესწუხდნენ სტამბაში მოსვლით, ,,ვერეიჩევისა და კამენმახერის‘‘ ამხანაგობას მრავლად ჰყავს მოსამსახურე ხალხი, რომელნიც სურვილისამებრ ეახლებიან და მიიღებენ მუშტართაგან საქმეებს. ტელეფონი № 852. (25—309—18)


# ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 მაისისათვის 1902 წლისა.

**აქტივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. კასა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) . | 23212 | 52 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში . . | 100 | — |
| III. ,, ,, ა) ,,ფრიდონოვისა და ამხ.‘‘ საბანკო კონტორაში . . . | 100 | — |
| IV. პირობა დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ. . | 1000 | — |
| V. სარგებლიანი ქაღალ. საზოგადოების საკუთვნონი: ა) უზრუნველ-ყოფილნი: . . 1760—76; ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი: . 7927— | 9687 | 76 |
| VI. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი . . . . . | 6309 | 49 |
| VII. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი . . . . . | 279267 | 30 |
| VIII. სოლო-ვექსილით გაცემული სესხი, უზრუნველ-ყოფილი უძრავის ქონებით . . | 500 | — |
| IX. პროტესტ-ნაქნარი თამასუქებისათვის გაგზავნილი | 1050 | — |
| X. განაღდება ვადიან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხ. . . . . . . | 1971 | 75 |
| XI. გირაოთი გაცემული სესხი: ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ. . . . . 14672—; ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. 18274—; გ) საქონელზედ . . . 21080—; დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარმ. 5779— | 59805 | — |
| XII. დასაბრუნებელი ხარჯი . . . . | 155 | 85 |
| XIII. მოწყობა და მომართვა . . . . | 2316 | 64 |
| XIV. კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 50914—62; ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 9792—35 | 60706 | 97 |
| XV. ვერზის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი . | 244 | 98 |
| XVI. სხვა-და-სხვა დებიტორები . . - . | 542 | 94 |
| XVII. მიმდინარე ხარჯები. . . . . | 5689 | 50 |
| ბალანსი | 452660 | 70 |

**პასივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 811 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულის 10%-გან . . | 87366 | — |
| II. სათადარიგო თანხა . . . . | 7354 | 46 |
| III. შემოტანილი ფული: ა) მიმდინარე ანგარიშით . 119275—93; ბ) ვადით . . . . . 125897—; გ) უვადოდ . . . . — — | 245172 | 93 |
| IV. გარდასაცემი თანხა. . . . . | 2569 | 48 |
| V. გარდასახდელი სარგებელი . . . | 561 | 85 |
| VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . . | 36 | 88 |
| VII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე 12 და 13 §§-ის თანახმად . . . . . | 716 | — |
| VIII. გადასაცემად მიღებული თანხა . . | 675 | — |
| IX. კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 11725—28; ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 32181—93 | 43907 | 21 |
| X. გადანაღდება თამასუქებისა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში . . | 27130 | — |
| XI. განაღდ. თამასუქ ტფილ. საკომერც. ბანკში. | 20000 | — |
| XII. წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლებისა . | 2868 | 98 |
| XIII. წაუღებელი დივიდენდი 1901 წლისა. . | 4214 | 71 |
| XIV. მიღებული სარგებელი . . . . | 9687 | 20 |
| XV. მოგება და ზარალი 1902 წლისა . . | 400 | — |
| ბალანსი. | 452660 | 70 |
| პასუხის-მგებლობა 811 წევრისა 10%-იან შემოსატან გარდ. . . . . . | 786294 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება . . . . . . | 15000 | — |
| თამასუქები საკომისიოდ. | 2595 | 95 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 мая 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი **ა. ი. სარაჯიშვილი.** გამომცემელი **ი. ჭავჭავაძე.**